ტექინფორმმა მოამზადა გამოცემა **სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები** ინგლისურ და ქართულ ენებზე.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი კლასიფიკატორები:

- **Web of Science (WoS)-ის კლასიფიკატორი**
- **Essential Science Indicators-ის კლასიფიკატორი**
- **SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორი**
- **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორი (FOS)**

გამოცემა მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის „ერთად“ მხარდაჭერით.

ამ ნაშრომის მიზანია დაეხმაროს სამეცნიერო ჟურნალების რედაქციებს/გამომცემლებს სტატიათა სისტემატიზაციისათვის შეარჩიონ მათთვის მისაღები კლასიფიკატორი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო სივრცეში ჩართვას და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ამ სფეროში.

კლასიფიკატორებში წარმოდგენილი ქართული ტერმინები შეთანხმებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების მეცნიერებთან.

ტექინფორმის თანამშრომლები მადლიერებით მიიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას თუ წინადადებას ქართულენოვან ტერმინებთან დაკავშირებით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტთა მოსაზრებები.